უხეო ტყეები

ჟურნალისტური გამოძიება 16 მაისი, 2011

უხეო ტყეები

იმის გამო, რომ ხელისუფლება არ ფლობს ინფორმაციას ტყის რეალური მარაგების შესახებ, ათასობით საღი ხე წლების განმავლობაში უნებართვოდ იჭრება.
ხე-ტყე [1]
საქართველოში ტყეების ჩეხვა 90-იანი წლებიდან დაიწყო. მაშინ შეშა გათბობის ერთადერთი საშუალება იყო და სახელმწიფოსაც კონტროლის მექანიზმები დაკარგული ჰქონდა.

სახელმწიფომ უკანონო ჭრის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ 2007 წელს გამოაცხადა. "წლების განმავლობაში სატყეო სექტორში იყო განუკითხაობა, აღებ-მიცემობა, კორუფცია. ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავამყაროთ წესრიგი და ჩვენ ამას დავამყარებთ ყოველგვარი შეფერხების გარეშე და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაჭრის!" - განაცხადა ბუნებრივი რესურსების მაშინდელმა მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა.

2003 წლის შემდეგ დავით ტყეშელაშვილი რიგით მე-3 იყო, რომელმაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პოსტი დაიკავა და სატყეო სექტორში რეფორმები დაიწყო. მას შემდეგ კიდევ 4 მინისტრი შეიცვალა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის დამტკიცებული საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი რაიმე ეროვნული დოკუმენტი.

"ყველა მინისტრი თავის მოღვაწეობას სატყეო სექტორის რეფორმირების შესახებ განცხადებით იწყებდა. თითოეული მათგანის რეფორმის კურსი კი რადიკალურად განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან", - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ არ იცოდა, რეალურად, რა მოცულობის და ხარისხის ტყეს ფლობდა, დავით ტყეშელაშვილმა რეფორმის ძირითად პრიორიტეტად კერძო კომპანიებზე ტყეების მრავალწლიანი ლიცენზიით გაცემა დაასახელა.

2002 წლიდან მსოფლიო ბანკის 15 მილიონიანი პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ტყეების ინვენტარიზაცია იყო, თუმცა 2007 წელს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ბანკის კრედიტი ტყის ინვენტარიზაციაზე აღარ დაეხარჯა. მინისტრმა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ დაგეგმილი იყო ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების აუქციონის წესით გაცემა და არ იყო მიზანშეწონილი ასოციაციის რესურსების ხარჯვა ინვენტარიზაციაზე. მინისტრი წერილში აღნიშნავდა, რომ უმჯობესი იყო, ეს თანხა სატყეო დეპარტამენტის ოფისების შეკეთებას, მანქანების შეძენასა და ტრენინგების ჩატარებას მოხმარებოდა.

ამ წერილის მიღების შემდეგ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ პროექტი შეაჩერა, ერთ თვეში კი პროექტი ოფიციალურად შეწყდა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, 11 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარში მსოფლიო ბანკისთვის უკან დაებრუნებინა.

მთავრობამ ინვენტარიზაციაზე თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც ვერ გაიმეტა და ტყის ინვენტარიზაცია ლიცენზიანტებს დააკისრა. ანუ კომპანიას, რომელიც აუქციონზე გაიმარჯვებდა და ხის ჭრის უფლებას მოიპოვებდა, ტყის სრული აღწერა უნდა ჩაეტარებინა და მის მიერვე მოსაპოვებელი რესურსის ოდენობაც დაედგინა.

"როგორ შეიძლება შენი საკუთარი რესურსების აღწერა მიანდო მას, ვინც უნდა ისარგებლოს ამ რესურსებით? რა თქმა უნდა, ის საკუთარ ინტერესებს დაიცავს. ეს მიდგომა სრულიად მიუღებელი იყო", - ამბობს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი, თეიმურაზ კანდელაკი.

ტყის გრძელვადიანი ლიცენზიით გაცემაზე პირველი აუქციონი 2007 წლის პირველ მაისს გაიმართა. ლიცენზია ბელგიურმა, ჩინურმა და ქართულმა კომპანიებმა მოიპოვეს. თუმცა ბელგიურმა კომპანიამ ლიცენზიის ფასი ვერ გადაიხადა და ამიტომ მასთან ხელშეკრულება გაუქმდა.

ჩინურ "ჯორჯია ვუდ ენდ ინდასტრიალ დეველოპმენტმა" სამეგრელო-ზემო სვანეთში დაახლოებით 38 000 ჰექტარზე, 20 წლის განმავლობაში

636 000 კუბური მეტრი ხის ჭრის უფლება მოიპოვა. ტყე აღწერა და დაადგინა, რომ ყოველწლიურად მოსაპოვებელი რესურსი ლიცენზიაში დაფიქსირებული ოდენობის ნახევარსაც ვერ აღწევს. იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე ლიცენზიანტი - "საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია", რომელმაც ხე-ტყის ჭრის უფლება კახეთში მოიპოვა.

"ხე-ტყის დამზადება საქართველოში არასდროს ყოფილა მომგებიანი. ჩვენი მთის ტყეები არ იძლევა საშუალებას, რომ კაპიტალური დაბანდებები გაიღო. ეჭვი მეპარება, საქართველოში ვინმემ კანონიერი გზით მოპოვებული ხე-ტყით შეძლოს წარმატებული ბიზნესის წარმოება", - ამბობს პროფესორი თემურ კანდელაკი.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, კომპანიებს რაიმე სახის პროტესტი არ გამოუხატავთ. უფრო მეტიც, ჩინურმა კომპანიამ მომდევნო აუქციონებზე კიდევ დამატებითი ობიექტები შეიძინა. სამეგრელოს შემდეგ, იმერეთი, კახეთი, ილტო, ფშავი, ახმეტა-ბოჭორმა და ერთიანობაში 77 000 ჰექტარზე მეტი ხე-ტყის ჭრის უფლება მოიპოვა.

"რატომ არ ედავებიან ეს ლიცენზიანტები სახელმწიფოს, რომ მათ არასწორი მონაცემის საფუძველზე მიჰყიდეს საქონელი, ჩემთვის გაუგებარია", - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი. [pagebreak]

მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი საკითხი - აუქციონზე გამოტანილი ტყეების საწყისი ფასის დადგენა. ტყეების აღურიცხაობის გამო არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" თვლიდა, რომ მოსაჭრელი მერქნის მოცულობის დადგენა ვადაგასული მონაცემებით ხდებოდა და შესაბამისად, ფასიც არასწორად განისაზღვრა. ორგანიზაციამ ეკონომიკის სამინისტროსგან ფასის გაანგარიშების დოკუმენტაცია მოითხოვა, თუმცა პასუხი ვერ მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის შედეგად, 2009 წელს დაგეგმილი მასშტაბური

აუქციონი ჩაიშალა. მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ლაშა ჟვანიამ და გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ დაადასტურეს, რომ აუქციონები დარღვევებით ტარდებოდა.

მიუხედავად ამ ფაქტისა, 2010 წლიდან ტყეები აუქციონზე სახელმწიფომ კვლავ ინვენტარიზაციის პროცესის გვერდის ავლით გაიტანა.

სამეურნეო ტყეების მაქსიმალური ოდენობით კერძო მართვაში გადაცემის ერთ-ერთი ინიციატორი ზვიად ჭეიშვილი იყო. იგი 2005 წლიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მუშაობდა, მოგვიანებით სატყეო დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა, შემდეგ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ბოლოს კი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გახდა და ტყეების საკითხს იქიდან მოყოლებული განაგებდა.

ჭეიშვილის ხელმძღვანელობით ჩინურ კომპანიას 6 ლიცენზია გადაეცა. ერთ წელიწადში კი ამ საწარმოს ხელმძღვანელი თავად ჭეიშვილი გახდა.

"საჯარო მოხელე, რომელიც კონტროლს უწევს საწარმოს ბოლო 3 წლის განმავლობაში, არ შეიძლება სამსახურიდან წასვლის შემდეგ ამ საწარმოში რაიმე თანამდებობაზე დაინიშნოს. ეს არის ინტერესთა შეუთავსებლობა და საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის პირდაპირ მოთხოვნათა დარღვევა", - აცხადებს საია-ს იურისტი ბექა დოჭვირი.

საქართველოში ტყეების თითქმის 98% მთის ფერდობებზეა განლაგებული, ამიტომ აქ ტყის ჭრა დიდ ტექნიკას და დანახარჯებს მოითხოვს, ხოლო რესურსი ძალიან ცოტაა. მიუხედავად ამისა, ინტერესი ტყის მიმართ მაინც დიდია. პირველი გრძელვადიანი ლიცენზია დეპუტატ როლანდ ფიფიას ძმას, ბიზნესმენ რომან ფიფიას გადაეცა.

მისი კომპანია "ჯორჯიან ფორესტი" ხე-ტყეს მარტვილში ჭრის. ტყის ბიზნესშია ჩართული სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი, რომლის კომპანიამაც "გურია ჯფ"-მ ჩოხატაურში ტყის ლიცენზია 2 144 200 ლარად შეიძინა და 20 წლის განმავლობაში 11 022 კუბური მეტრი ხე-ტყის ჭრის უფლება მოიპოვა.

ადიგენის რაიონში ტყის ბიზნესს განაგებს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბიძა - ლევან თუმანიშვილი. ლევან თუმანიშვილი კომპანია "ტაოს" ერთპიროვნული დამფუძნებელია. კომპანიას სამცხე-ჯავახეთში 2 571 ჰექტარზე 5 067 კუბომეტრი ხის ჭრის უფლება აქვს".

"წლების განმავლობაში აქ ტყე საოცრად მოვლილი და დაბურული იყო. ახლა კი ყველა მხრიდან მოტიტვლებულია. ყოველდღიურად ხომ ჭრიან, მაგრამ ახლა გასხიპულ ტოტებს და ნაგავსაც ტყეში ტოვებენ. ამ ზაფხულს საშინელი გვალვა იყო და ყველანი გაფაციცებით დავდიოდით - ერთი სიგარეტის ნამწვიც რომ დარჩენილიყო უყურადღებოდ, ისე გადაიწვებოდა ტყე, რომ ვერავინ უშველიდა", - ამბობს მარინა ურუშაძე, აბასთუმნის ტყის შუაგულში მდებარე ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელი.

მიუხედავად იმისა, რომ ადიგენის ტყის ის ნაწილი, რომლის ნახვასაც ვაპირებდით, კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს და შესაბამისად, არანაირი ნებართვა არ გვჭირდებოდა, ტყის ამ მასივის არათუ გადაღების, ტერიტორიაზე შესვლის საშუალებაც კი არ მოგვეცა. "აბა, მე რა ვიცი, რაზე შედიხართ ტყეში, იქნებ რამეს აშავებთ!" - გვიპასუხა ადიგენის სატყეო მეურნეობის უფროსმა გელა მეტრეველმა. თითქმის ერთსაათიანი მოლაპარაკებებისა და ლოდინის შემდეგ მას ტელეფონზე დაურეკეს: "ჩემი ტყის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე მირეკავს თბილისიდან, არავითარი ინტერვიუ და არავითარი გადაღებებიო!" - უარით გამოგვისტუმრა მან.

ადიგენის ტყეებისგან განსხვავებით, ჩვენ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ტყის ის უბანი მოვინახულეთ, სადაც ხის ჭრის უფლება კომპანია "ვუდიმპექსს" აქვს. "ვუდიმპექსი" დეპუტატ არჩილ გეგენავას ძმის - ანდრო გეგენავას კომპანია "მეგაფუდის" და სასტუმრო "აჭარის" მფლობელ თეიმურაზ უგულავას საკუთრებაა.

იმერეთის რეგიონში, წაბლნარების გაჯანსაღების საბაბით, მთავრობამ ხის ჭრაზე უფლება 2005 წლის ბოლოს კერძო კომპანიას მიანიჭა. 2009 წელს კი ეს უფლება კომპანია "ვუდიმპექსმა" მოიპოვა. 2010 წლის დასაწყისში, კომპანია "მეგაფუდი", "ქროსვეისმა" შეცვალა, ამ უკანასკნელის 100%-იანი დამფუძნებელი კი თეიმურაზ უგულავაა, რაც იმას ნიშნავს, რომ უგულავა "ვუდიმპექსის" 100%-იანი მფლობელიცაა.

წაბლი გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობების "წითელ ნუსხაშია" შეტანილი და მისი მოჭრა კანონით იკრძალება, იმ გამონაკლისის გარდა, თუ ხე დაავადებულია და მისი გადარჩენა შეუძლებელია. [pagebreak]

"უნდა მოიჭრას მხოლოდ ხმელი ან ხმობადი ხეები, ჩვენ კი მოჭრილ ხეებს შორის ვნახეთ ნედლი მასალაც, რომელსაც ხმობის ნიშანწყალი არ ჰქონდა", - ამბობს ადგილობრივი ექსპერტი სატყეო საკითხებში მანუჩარ კუბლაშვილი

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 2006 წელს უკანონოდ მოიჭრა - 40 924 კუბური მეტრი ხე-ტყე, 2007 წელს - 98 675 კუბური მეტრი, 2008 წელს - 21 331, 2009 წელს კი - 30 684.

სატყეო სექტორის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მონაცემები რეალურისგან ძალიან შორსაა. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა პეტრე დუნდუამ და შპს "საქტყემრეწვის" ხელმძღვანელმა შოთა ჯაოშვილმა, ოფიციალურ მონაცემზე დაყრდნობით, დეტალურად შეისწავლეს 2005-2008 წლებში ხე-ტყის რესურსების არალეგალური მოპოვება და სახელმწიფოსადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალი. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ხე-ტყის ბიზნესის მფლობელებმა ნახევარი კუბური მეტრი მორიდან 1 კუბური მეტრი პროდუქცია მიიღეს.

"ეს ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული, ეს არის ფანტასტიკური ციფრი", - ამბობს შოთა ჯაოშვილი, რომელიც უკვე ათეული წლებია, სტანდარტებზე მუშაობს. ის ამბობს, რომ 1 კუბ.მეტრ პროდუქციაზე მინიმუმ 1,35 კუბ.მეტრი მასალა იხარჯება.

აქედან გამომდინარე, ყველაზე დაბალი ხარისხის ფიცარიც რომ დამზადებულიყო, 767 000 კუბურმეტრს სულ სულ მცირე 1 მილიონ 35 000 კუბომეტრი ხე-ტყე დასჭირდებოდა, ოფიციალური მონაცემებით კი, ამ პერიოდში წარმოებისთვის გამოყენებული იყო

438 000 კუბ.მეტრი ხე-ტყე, ანუ სამასალე ხე-ტყის დეფიციტი 598 000 კუბ.მეტრი აღმოჩნდა.

"ეს ხე-ტყე, ფაქტობრივად, არალეგალურადაა მოპოვებული. ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი ზღვრული საბაზრო ფასის შესაბამისად კი, მისი ღირებულება თითქმის 38 მილიონი აშშ დოლარია", - ამბობს შოთა ჯაოშვილი.

საქსტატის ინფორმაციით, 4 წლის განმავლობაში წარმოებული 767 000 კბმ პროდუქციიდან, ექსპორტირებულია 481 ათასი კუბ.მეტრი, რომლის ფასი ოფიციალური მონაცემებით, 76,7 მლ.ლარს შეადგენდა. ექსპერტები მიაჩნიათ, რომ ექსპორტიორებმა ფასები ხელოვნურად

შეამცირეს, რადგან ექსპორტზე მხოლოდ მარტივი ჩამოგანული ფიცარიც რომ გასულიყო, საერთო თანხას, სულ მცირე, 94 მილიონი დოლარი უნდა შეედგინა, რაც საერთო საკონტრაქტო ღირებულებაზე მეტია.

"ეს ნიშნავს, რომ საკონტრაქტო ფასები არარეალურია და წინასწარი მოლაპარაკების შესაბამისად, შემცირებულია. სხვაობა კი ჩადის ექსპორტიორის ჯიბეში", - ამბობს შოთა ჯაოშვილი.

ექსპერტებმა კვლევა და წერილები გარემოს დაცვის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს, ასევე პარლამენტს არაერთხელ გაუგზავნეს. თუმცა მათ არცერთი უწყება არ გამოხმაურებია.

აგრარული უნივერსიტეტის სატყეო დეპარტამენტის უფროსმა თეიმურაზ კანდელაკმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი შეისწავლა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში წელიწადში მხოლოდ საშეშედ 2 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყე იჭრება. 2009 წელს კი ერთმა ოჯახმა საშუალოდ 1,1 კუბური მეტრი შეშა მოიხმარა.

მთავრობის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით, მაღალმთიან რაიონში ერთი ოჯახისთვის სამყოფი შეშა, მაქსიმუმ - 12, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 7 კუბური მეტრია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სოფლის მოსახლეობას მთავრობის მიერვე დადგენილი სტანდარტებით, მინიმუმ, 3 მილიონზე მეტი კუბური მეტრი შეშა სჭირდება.

"წელს ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს, 4,5 კუბომეტრი ჩაგვიწერეს ფურცელზე და მანქანაც არ გაივსო. ორი მოხუცი ვართ სახლში ცოლ-ქმარი, სხვა გასათბობი არაფერი გვაქვს. ეს იანვრის ჩათვლით არ მეყოფა. თებერვალი, მარტი, აპრილი - ეს 3 თვე რით გავთბე?!" - დარდობს ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევში მცხოვრები რიმა ხაჭაპურიძე.

"ერთი ჩვეულებრივი მანქანა შეშა მოგვქონდა, დაგვხვდა გარემოს დაცვის ინსპექცია და დაგვაჯარიმა 120 ლარით. ამ დროს შეიძლება, ვიღაცამ ორი მანქანა უპრობლემოდ გამოიტანოს. დაულაგებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ", - ამბობს სოფელ ქვაბისხევის ერთ-ერთი მცხოვრები.

მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა არ მალავს, რომ დადგენილი სტანდარტის სიმწირის გამო იძულებულია, ხეები უკანონოდ მოჭრას. ომალოს მოსახლეებმა გულახდილად გვითხრეს, რომ წელს ხმელ ხეებს ნედლიც მიაყოლეს.

იმის გამო, რომ ხელისუფლება არ ფლობს ინფორმაციას ტყის რეალური მარაგების შესახებ, ათასობით საღი ხე წლების განმავლობაში უნებართვოდ იჭრება. უნებართოდ ჩეხავს ტყეს მოსახლეობაც, რადგან მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები მინიმალურია, ზამთრის გადასატანად გაცილებით მეტია საჭირო, მათ კი გათბობის სხვა საშუალება არ გააჩნიათ.

მარი როჩიკაშვილი

Like 2 people like this.

Vote up!
[2] 0
Vote down!
[3] 0

- ტყე
- ტყის უკანონო ჩეხვა
- ჟურნალისტური გამოძიება

”ლიბერალის” საავტორო უფლებები დაცულია. ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

წყაროს URL: http://liberali.ge/ukheo-tqeebi

ბმულები:
[1] http://liberali.ge/image/khe-tqe
[2] http://liberali.ge/vote/node/6348/1/vote/upanddown/5f44137e7d992a16724d85c3a10390d7
[3] http://liberali.ge/vote/node/6348/-1/vote/upanddown/d137dcc56fa00513fd77d015a82e1dbb